



საქართველოს მთავრობის კანცელარია
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 360

2012 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული
დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მიერ კანცელარიის
შინაგანაწესის დაცვის მიზნით გასატარებელ
ღონისძიებათა შესახებ

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების
საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენ-
ტის უფროსის ო. გოგოდისათვის დელეგირების თაობაზე“ საქართველოს
პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის №1119 ბრძანების შესა-
ბამისად:

1. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული
დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებმა მკაცრად დაიცვან მოქმედი
კანონმდებლობითა და კანცელარიის შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო
საათები.

2. პირველი პუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად დაევალოს
საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენ-
ტის საკადრო საკითხთა სამსახურის უფროსს კ. ამირანიძეს, განა-
ხორციელოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა
მიერ სამსახურში მოსვლისა და სამსახურიდან წასვლის, საჯარო
მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომების, აგრეთვე კანცე-

ლარიის შინაგანაწესით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების თაობაზე ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ყოველდღიური ინფორმირება.

3. ამ ბრძანების შესრულების კონტროლს განვახორციელებ პირადად.



ოთარ გოგოძე